საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

მპგ „შეცვალე საქართველოს“ თავმჯდომარის

გიორგი გაგნიძის

წერილი

25.03.2022

მოგესალმებით ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყების დღიდან, ჩემზე და ჩემს კომპანიებზე, რომლებიც წლებია მთარგმნელობითი მიმართულებით მუშაობენ და მონაწილეობენ სახელმწიფო ტენდერებში, ხორციელდება უპრეცენდენტო ზეწოლა (6 წლის წინაც გვქონდა აღნიშნული პრობლემა, თუმცა, ჩვენი ბრძოლის შედეგად, დღემდე მიწყნარებული იყო).

ზეწოლა მდგომარეობს შემდეგში:

გვიბარებენ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც აღძრულია 2016 წელს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად: თარჯიმნის თუ კომპანიის გამოცდილება ითვლება პრეტენდენტის გამოცდილებად და ერთი ან მეორე არის თუ არა დანაშაული... 5 წელი ეს საქმე იყო დეაქტივირებული, ჩემს მიერ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციიდან მე-4 დღეს დაკითხვაზე დამიბარეს და მას შემდეგ პერიოდულად მიბარებენ.

ამ დროს, **ინტენსიურად დაიწყო ჩემი კომპანიების ათობით ათასი ლარით დაჯარიმება და ახლა, უკვე გაშავებაც.** პირველი უწყება, ვინც სულ რაღაც 1 თვის წინ გაგვაშავა არის შსს, რომელმაც გაწირა კომპანია და მასში მომუშავე ათასამდე თანამშრომელი. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ტენდერის მიმართ (სამწუხაროდ, სხვა შემთხვევებშიც) არსებობს კერძო ინტერესები. ამაზე მიანიშნებდა ჩვენს მიმართ ირიბი შემოთვლები, რომ არ შევსულიყავით მათთან.

აღსანიშნავია, რომ ნახსენებ უწყებაში თითქმის 3-ჯერ მეტია საათობრივი ანაზღაურება, ვიდრე ყველა დანარჩენი უწყების მთარგმნელობით ტენდერებში. იქ წლებია, მხოლოდ ერთი კომპანია შედის და სხვა ვერავინ ვერაფერს ბედავს, რაც პირდაპირ მეტყველებს ვიღაცის ინტერესებზე.

დროის მოკლე მონაკვეთში, ერთმანეთის მიყოლებით, კიდევ ორმა უწყებამ შეგვიწყვიტა ხელშეკრულება (სახ. ზრუნვისა და ტრეფიკინგის უწყება, სპეც. პენიტენციური სამსახური,) შეგვიწყვიტეს მიზეზებით, რომლებიც ან აბსურდულია, ან მიზანმიმართული შეფერხებაა. მაგალითად:

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული 50-მდე თარჯიმნის დოკუმენტის წარდგენის შემდგომ, ერთ-ერთზე თქვეს რომ არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, რადგან თურმე ბენგალური ენის თარჯიმანმა მათთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ვერ შეასრულებდა მომსახურებას. ამ დროს, **აღნიშნულ ტენდერზე ნოტარიუსთან თანხმობის აქტში, სულ რამდენიმე დღით ადრე, ეს თარჯიმანი სრულიად საპირისპიროს წერს**. გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ის შემდგომ დააშინეს.

სახ. ზრუნვისა და ტრეფიკინგის უწყებამ ჩვენთან ხელშეკრულება შეწყვეტა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ათასობით დოკუმენტიდან, დავუგვიანეთ 10 გვერდიანი დოკუმენტის თარგმნა. არადა, ამ დროს ჩვენი კონკურენტი კომპანია კვირები და თვეები უგვიანებს და პასუხს ამაზე არავინ აგებინებს.

18000 ლარით დაგვაჯარიმეს 1 თარჯიმნის დაგვიანებისთვის და ამ დროს, კონკურენტს თარჯიმნები გაფიცული ჰყავს და მას საერთოდ არ აჯარიმებენ (შავ სიაზე საუბარი ზედმეტია).

ეს ხდება დროის მოკლე მონაკვეთში! და როგორც ჩანს ეს გაგრძელდება ჩვენს დანარჩენ ტენდერებზეც, რომლებიც სიმწრით მოვიგეთ და ასობით ადამიანი გვყავს დასაქმებული.

6 წელია სესხს სესხზე ვიღებ იმისთვის, რომ შევინარჩუნო საქმე, პროფესიონალი კადრები და ავარიდო მათ სამსახურის დაკარგვის საფრთხე. თითქმის გავართვით თავი იმ დამანგრეველ დარტყმებს, რაც ჯერ კიდევ 2016 წელს მოგვაყენა სისტემამ (მაშინ, თითქმის 1 მილიონიან მინუსში გაგვიყვანეს). ასე თუ ისე, ბოლოში ვიყავით გასულები და ახლა ისევ იგივეს იმეორებენ! ეს არის **უსამართლობა, რომლის გამოსწორებასაც თქვენ და თქვენი პარტია დაპირდით ხალხს**.

მინდა რომ აღარასდროს არავის გადახდეს ის რაც მე დამმართეს - არაერთხელ მიფიქრია ახალგაზრდა ადამიანს თვითმკველობაზე, და რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო ტენდერებში შევედი და პატიოსანი, ჯანსაღი კონკურენცია შევქმენი. მოგახსენებთ, რომ ბაზარზე ჩვენი გამოჩენით, ბოლო 6 წლის განმავლობაში, სახელმწიფოს 6 მილიონ ლარამდე დავუზოგეთ ამ პატარა ტენდერებში.

ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება, ამიტომ ჩამოვაყალიბე პოლიტიკური პარტია და ჩემი ერთადერთი მიზანი არის ის, რომ ხალხმა ამოისუნთქოს ამ სისტემური ხარვეზით გამოწვეული უკიდურესი წნეხისგან.

მოგმართავთ თხოვნით, რომ თუ მართლა შეგტკივათ გული ჩვენს უკიდურესად გაჭირვებულ ხალხზე და ქვეყანაზე, პირველ რიგში, გაასწორეთ ყველაზე დიდი კორუფციული სქემა. ეს ეხება სახელმწიფო შესყიდვებს, რომელიც ქვეყანას ძირს უთხრის. აღნიშნული სისტემის გასწორებით, შესაძლებელია, სულ მცირე, 3 წელიწადში 3 მილიარდამდე ლარის გამოთავისუფლება და ამ თანხის უამრავ კარგ საქმეში დახარჯვა, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, განათლება და სხვა. ამაში ჩემი გამოცდილების უანგაროდ გაზიარებას გთავაზობთ, მათ შორის, მე პირადად მზად ვარ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩავერთო ამ სისტემის გასწორებაში.

ჩვენ მივმართეთ თქვენს პარტიას (ერთ-ერთ კომიტეტის სხდომაზე) როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად და შევთავაზეთ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ოპტიმიზაცია/რეფორმა, რომელიც ისეთ დონეზე აიყვანს ავტომატიზაციას (მათ შორის ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციით), რომ ტენდერის გამოცხადებისთვის ბევრი ბიუროკრატიული ნაბიჯის გადადგმა აღარ იქნება საჭირო, გამჭვირვალობა არ იქნება დამოკიდებული ადამიანურ ფაქტორებზე და მაქსიმალურ ნდობას გააჩენს ამ სისტემაში. ასევე, ეს და სხვა ნაბიჯები, რასაც თქვენი სურვილის შემთხვევაში, შეხვედრაზე გაგიზიარებთ ავტომატურად გამოიწვევს თანხების დაზოგვას ყოველწლიურად, სულ მცირე, 1 მილიარდი ლარის ოდენობით.

ბიზნესს და ხალხს უნდა მიეცეს საშუალება მუშაობის და პატიოსანი შრომით წარმატების მიღწევის, რაც დღეს შეუძლებელია სახელმწიფო ტენდერებში. ასევე, ზემოთ ხსენებული პრობლემა ქმნის ჩვენი პარტნიორი ქვეყნების, მსოფლიო ბანკისა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან აღებული დახმარებებისა და სესხების არამიზნობრივად ხარჯვის პირობებსა და სურათს, რაც ნდობას უკარგავს აბსოლუტურად ყველას.

ჩვენ უკვე დავიწყეთ სამართლებრივი გზებით ჩვენს წინაშე არსებული პრობლემების დასაძლევად ბრძოლა, თუმცა სისტემა იმდენად არის ბიზნესის წინააღმდეგ მოწყობილი, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღწევის შანსი პრაქტიკულად ნულს უტოლდება. ამიტომ, გთხოვთ თქვენს პირად კონტროლზე აიყვანოთ ეს საკითხი, რადგან ყველა პატიოსნად შესულ კომპანიას სახელმწიფო შესყიდვებში ზუსტად ჩვენნაირი პრობლემები აქვს.

პ.ს. არც ბიზნეს ომბუდსმენს და არც სხვა უწყებას არ ძალუძს ეს პრობლემები გადაჭრას. ამას მხოლოდ თქვენ შეძლებთ, ზუსტად ამიტომ გწერთ პირადად თქვენ და თხოვნა მაქვს - სხვაგან ნუ გადამამისამართებთ.

გულისხმიერებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

გიორგი გაგნიძე (ტელ: 595275000)